ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი სოფიო ბახტაძე, დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი ნანა ხახაჭაპურიძე

ასოცირებული პროფესორი ნანა კაპანაძე

ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტი

დგანან მარცხნიდან მარჯვნივ - ასოცირებული პროფესორი ნანა კაპანაძე, თსსუ-ის ემერიტუსი ნანა გელაძე, პროფესორი სოფიო ბახტაძე, ასოცირებული პროფესორი ნანა ხაჭაპურიძე.

პედიატრიული ფაკულტეტის ნერვულ სნეულებათა კათედრა დაარსდა 1931წ ცნობილი ნევროლოგის და მეცნიერის, პროფესორ სვიმონ ყიფშიძის მიერ და მისი პირველი გამგე იყო აკადემიკოსი პეტრე ქავთარაძე, შემდგომში კათედრას დაემატა სტომატოლოგიური და სან-ჰიგიენური ფაკულტეტები და 1948 წლიდან შეიქმნა პედიატრიული, სან-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ნერვულ სნეულებათა კათედრა.

სხვადასხვა პერიოდში კათედრას ხელმძღვანელობდნენ ღვაწლმოსილი მეცნიერები პროფ. ნიკოლოზ ფოფხაძე, პროფ. სოფიო ენუქიძე, პროფ.ნოდარ ქავთარაძე, დოც. გიორგი ნატრიაშვილი. კათედრაზე მოღვაწეობდნენ პროფ. აკაკი ზოიძე(მრავალი სახელმძღვანელოს ავტორი ნევროლოგიაში), დოცენტები: ნელი თოხაძე, ბიძინა მინდაძე.

კათედრა სხვადასხვა პერიოდში განთავსებული იყო წმ. მიქაელის სახ. კლინიკის, ქალაქის მე-8 საავადმყოფოს, რკინიგზის საავადმყოფოს, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს, ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს ბაზაზე. კათედრის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული სამეცნიერო და კლინიკურ საქმიანობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საქველმოქმედო გასინჯვებში, მონაწილეობდნენ EFNS-ის კონფერენციებსა და კონგრესებში. კათედრის ბაზაზე შესრულდა და შემდგომში მოხდა საჯარო დაცვა 15-ზე მეტი დისერტაციის, გამოქვეყნდა ასევე მრავალი მეთოდური რეკომენდაცია ბავშვთა ნევროლოგიის აქტუალურ პრობლემებზე.